ვარძელაშვილის დედა ჟურნალისტებს დაემუქრა

მალვა ჯოხაძე

როგორ მოისაკუთრა სპორტის მინისტრმა სახლი

დედაქალაქის პარკებისა და სკვერების მიწების დატაცება ისეთი ტემპით მიმდინარეობს, არ გაგიკვირდეთ, ერთ დღესაც თბილისში ყველა მწვანე ნარგავი რომ გაჩეხონ და მშენებლობა წამოიწყონ. ქართული მართლმსაჯულების წყალობით, განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დიღმის ტყე-პარკია. სხვათა შორის, ამ ტყე-პარკის ტერიტორიაზე მინისტრ ლადო ვარძელაშვილის ოჯახის უძრავი ქონებაც დგას. თუ როგორ ჩაიგდეს ხელში ვარძელაშვილებმა და მათმა მეზობლებმა ერთ დროს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა, ამის შესახებ სტუდია „მონიტორის" ჟურნალისტურ გამოძიებაშია საუბარი, რომელიც დიღმის ტყე-პარკის პრობლემატიკას მიეძღვნა.

ლადო ვარძელაშვილი

გორავა, რომ პროექტ „რაც შენია, შენია" ფარგლებში თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა დიღმის ტყე-პარკში მდებარე პიონერთა სასახლის შენობა იქ შეჭრილ მოქალაქეებს დაუკანონა. არადა, ეს კანონი ასეთი ტიპის ტერიტორიაზე უნებართვოდ დაკავებული ქონების დაკანონებას პირდაპირ კრძალავდა.

„მონიტორის" ჟურნალისტების გამოძიებამ ახლად დაკანონებულ კორპუსთან ჩასაური გამოიწვია. განსაკუთრებული აგრესიით მინისტრ ლადო ვარძელაშვილას დედა გამოირჩეოდა.

— ნაშალეთ გადალებული, გეუბნებით, თორემ თქვენს სახელსა და გვარს გავიგებ და ცუდად წაგიყვანთ აქეან... გაბედეობაში მივალ და განვაცხადებ, რომ შემოგვედით კერძო საკუთრებაში.

აღსანიშნავია, რომ აქმცხოვრებთა გაბაცხადი მერიამ 4 დღეში განიხილა, დასტურიც მისცა მაშინ, როდესაც თბილისელების უდიდესი არმია თეფეთით და ხშირად უშედეგოდ ელოდა მერიის გადაწყვეტილებას.

როგორც „ახალ თაობას" ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცის" ხელმძღვანელმა ანა გაბრიაძემ განუცხადა, ახლანან ამ სასლთან მისასვლელად ასფალტირებული გზაც გაიყვანეს.

— სანამ ტყე-პარკის ტერიტორიაზე გზის მშენებლობა დაიწყებოდა, ეს გავაპროტესტე, განცხადება შეკიტანე. პროცესი ცოტა ხნით შეჩერდა, მაგრამ ჭერე ბეიეანში ასფალტი მაინც დაიგეს, რათა უპრობლემოდ იმოძრაონ. საბელმწიფოს ბალანსზე არსებულ ამ შენობაში, თავის დროზე, მოსახლეობა ქალაქურად შესახლდა. მათ ტყე-პარკის ტერიტორია, ანუ მინაც დაისაკუთრეს. წარმოიდგინეთ, დედაქალაქის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელმა სეედია უგრეხელიანემ მითხრა, შენივის რა მნიშვნელობა აქვა, ეს ვისი საკუთრება იქნებაო... ტყე-პარკის ტერიტორიაზე არსებულ დანარჩენ ნაკვეთებს რაც შეეხება, ბათი მეპატრონეები სულ იცვლეობდნენ, მათი გადაყიდვა სდებოდა, — აცხადებს ანა გაბრიაძე.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინ თბილისის საკრებულომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმაში ცვლილებები შეიტანა, დიღმის ტყე-პარკის 8 პექტარს რეკრეაციული სტატუსი მოუხსნა და სპორტდიდებრივ-საქმიან ზონად დაიკანონა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება დაიშალა და გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, 8 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ ერთი ჰექტარი ითქვა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ ყველაფრის გამოსასამართლოს მიმართეს, თუმცა — უშედეგოდ.

ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცეში" აცხადებენ, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დიღმის ტყე-პარკს სარეკრეაციო სტატუსი აღარ დაუბრუნდება. კოკაესის გორემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „სენისა" და მოქალაქე ანა გაბრიაძის საჩივარი სასამართლომ დაუშვებლად ცნო. მოსარჩელეები სარეკრეაციო ზონის სტატუსის დაბრუნებასა და თბილისის საკრებულოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდნენ.

სტატუსი „საქმიანი ზონა" დიღმის ტყე-პარკში მრავალსართულიანი შენობის აშენებია უფლებას იძლევა, რაც რეკრეაციული სტატუსის დროს დაუშვებელი იყო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცის" ხელმძღვანელ ანა გაბრიაძის თქმით, დიღმის ტყე-პარკნა, საკრებულოს გადაწყვეტილებით, 8 ჰექტარი მოცულობის სარეკრეაციო ზონა დაკარგა, რაც ეურნალისტური გამოძიებითაც დამტკიცდა. გაირკვა, რომ ტყე-პარკის ნაწილისთვის სტატუსის მოხსნით მმართველი პარტიის წევრები იყვნენ დაინტერესებული. ეიღმის მიბედვით სტატუსშეცვლილი 8 ჰექტარი ტყის ნაწილი პარლამენტის ნაციონალ დეპუტატებს ეკუთვნით.

დიღმის ტყე-პარკის სარეკრეაციო სტატუსის აღდგენის საკითხი უკვე საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლომ განიხილა. უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ საქმეს საქართველოში პერსპექტივა ნოუსპო. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანა გაბრიაძე ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებას გასაჩივრებას ევროპულ სასამართლოში აპირებს. გაბრიაძის თქმით, ის იურისტებთან გადის კონსულტაციებს და უახლოეს მომავალში გადაწყვეტს, რა გაგრძელება მოჰყვება ქართულ სასამართლო ინსტანციებში დასრულებულ პროცესებს.

გარდა ამისა, თბილისის პროკურატურას ხაია-მაც მიმართა, რათა გამოეძიებინათ, თუ რატომ არსებობდა დიღმის ტყე-პარკის ორი რუკა. საუბარია იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ალბიშული იქნებოდა, მერიის პროექტით ტყე-პარკის რა ფართობს უნდა შეცვლოდა რეკრეაციული ზონის სტატუსი. საკრებულოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მითითებულია, რომ სტატუსი შეეცვალა ერთ ჰექტარს, შემდგომში წარდგენილ ვარიანტებში კი მითითებულია, რომ შეეცვალა 8 ჰექტარს, თუმცა პროკურატურა დუმს.

დიღმის ტყე-პარკის მომავალი ბედის შესახებ ანა გაბრიაძე გვესაუბრება:

— დიღმის ტყე-პარკისთვის რეკრეაციული სტატუსის მოხსნა, ფაქტობრივად, მისი განირვაა. წლების განმავლობაში აქ მრავალი უკანონობა დატრიალდა. აკრძალვის მიუხედავად, იყიდებოდა ნაკვეთები, რომლებიც შემდეგ ერთი მფლობელისგან მეორის ხელში გადადიოდა. ამას გარდა, ხდებოდა ლეგალიზება. ამას უარყოფენ, არადა, ჩვენ ხელთ გვაქვს საბუთი, რომელიც მაჩვენა ახალდადანია მიერაა ხელმოწერილი. ეს ლეგალიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაა. მერიამ არადერი გაკეთა იმისათვის, რომ ეს მიწები დაებრუნებინა. ყველა არჩევნების წინ გვაძლევდნენ დაპირებას, ამ პრობლემას კანონის ფარგლებში დაკარგულირებთო, თუმცა დაპირებები დაპირებებად ვე რჩებოდა.

მერიაში კოლექტიური განცხადებაც გვაქვს შეტანილი, რომელსაც ხელს 250 კაცი აწერდა, რათა ეს საკითხი გადაწყვეტილიყო, მათ შორის — ამ ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტებისაც, უკანონო ბენზინგასამართი სადგურებია საკითხი, რომელთა ლეგალიზაციაც 2008 წელს მოხდა. არც ერთ ობიექტს არა აქვს კანალიზაცია. 700-800 ლარს იხდიან წყალში, რადგან იქ არის საბრეცხაოები, ეს წყალი კი ჭაობდება. ამ ობიექტებს არა აქვთ კანალიზაცია და არც არის მისი გაკეთების შესაძლებლობაც, რისი დოკუმენტებიც გვაქვს. ყველამ იცის, რომ კანალიზაცია იღვრება იქ, სადაც ბავშვები თამაშობენ. ამის გამო დღემდე რატომ არ ვაჩნდა ეპიდემია, ჩემთვის გაუგებარია. აქ მართლაც ისეთი სიტუაციაა, ვერ გაივლი.

ამას გარდა, ცნობილი ფაქტია, რომ ტყე-პარკის ტერიტორიაზე ცხერს ორი ფარა დგას, საშინელი ანტისანიტარიაა. წლებია, მეცხვარეებს აქ საკუთარი ბიზნესი აქვთ და ამით არავინ ინტერესდება. ალბათ, 3 დღეში ერთხელ პატრულს მივმართავთ და ამ ადამიანებს დროებით მოჭავენ, მაგრამ საბოლოო შედეგი არ ჩანს.

ამ ტერიტორიის საქმიან ზონად გადაკეთებაა საბოლოოდ ის მოპყვება, რომ დაიწყება მშენებლობები. აქ მაღალსართულიანი ნაგებობები ჯერ არ არის, მაგრამ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, მოცვიანებით, არაა გამორიცხული, კორპუსებიც აშენდეს. ნაკვეთები აშკარად უკანონოდაა გაყიდული, რის შესახებაც პროკურატურაში უნდა დადგეს საკითხი და დასაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც ისინი გაასხვისეს. დიღმის ტყე-პარკის ბედი პირდაპირ კავშირშია იმ მოელენებთან, რომლებიც ქვეყანაში ვითარდება. ამ ხელისუფლების პირობებში ვერაფერი გვაშველის, ვერც სტრასბურგი, ვერც ევროფერი.